აკადემიკოსი მიხეილ საბაშვილი - 120

მიხეილ საბაშვილი – ქართველი ნიადაგთმცოდნე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

1925 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი; 1930-1942 წლებში იყო სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი; 1945-1958 წლებში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტის დამფუძნებელი და პირველი დირექტორი; 1955 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, 1963 წლიდან – ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად, 1957 წელს კი საქართველოს სოფლის მეურნეობის აკადემიის პრეზიდენტად; 1961 წელს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1936 წლიდან აკად. მ. საბაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნიადაგმცოდნეობის კათედრას ხელმძღვანელობდა. 1944–1946 წლებში თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი იყო; მისი სამეცნიერო მიღვაწეობა არაერთი ორდენითა და მედლით აღინიშნა. მის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კერძოდ ნიადაგმცოდნეობის განვითარება.

მ. საბაშვილმა შეისწავლა საქართველოს ნიადაგების გენეზისი, შედგენილობა-თვისებები, გავრ-ცელება, კლასიფიკაცია, აგროსაწარმოო მაჩვენებლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები. მის მიერ და მისი ხელმძღვანელობით შედგენილია სხვადასხვა მასშტაბის ნიადაგური რუკები.

მ. საბაშვილმა პირველმა მოგვცა საქართველოს და ამიერკავკასიის ნიადაგების მეცნიერულად დასაბუთებული კლასიფიკაცია, დააზუსტა ნიადაგების ვერტიკალური ზონალობა, შექმნა საქართველოს ნიადაგების გეოგრაფიული და აგრონიადაგური დარაიონების ორიგინალური სქემები. მის მიერ და მისი უშუალო ხელმძღვანელობით შექმნილია სხვადასხვა მასშტაბის ნიადაგური რუკები. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა 1955 წელს გამოცემული 1 : 200 000 მასშტაბის საქართველოს ნიადაგური რუკა, რომელიც ამჟამად განთავსებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ მისივე სახელობის ნიადაგების გეოგრაფიისა და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორიაში, რომელიც 1936 წელს აკად. მიხეილ საბაშვილის თაოსნობით იქნა ჩამოყალიბებული.

მ. საბაშვილმა პირველმა შექმნა ქართული სახელმძღვანელო ნიადაგმცოდნეობაში, რომელიც განკუთვნილი იყო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. 1952 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიბეჭდა ნიადაგმცოდნეობის სახელმძღვანელოს მეორე, ხოლო 1970 წელს მესამე გამოცემები. ფუნდამენტურ კვლევებს ეყრდნობა მ. საბაშვილის ცნობილი მონოგრაფია „საქართველოს ნიადაგები“, რომელიც სხვადასხვა წლებში ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცემოდა.